

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-  
რაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში; რედაქციაშივე  
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე  
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисть, ред. „ДРОБЪ“

ფასი წლით 9 მ., 11 თვი 8 მ., 50კ. 10 თვით—  
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.,  
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ. 4 თვ.—4 მ., 3  
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.



გამოდის ყოველ-ღელ ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე  
8 კ., პირველზე 16 კ. სრული კვადრატული სტრიქონი  
ღი 25 მანათი; პირველი 50 მ. კვადრატული სტრიქონი  
ნებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვა-  
ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწავლებს და შეამო-  
ღებს კაზეტებზედ გამოცხადებულ წერილებს. დაუბრუნდეს წერი-  
ლებს რედაქცია გარე-დაჭერის შემთხვევაში.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-  
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.  
Л. Метиль., Москва, Петровка, № 6.

### მიიღება ნახევარ-წლით ხელის-მე-წერის ვაჭების „დროებაზე“

ივლისის ზირველიდამ წლის დამლევამდე

ფასი ხუთი მანათი

სოფლის მასწავლებელთათვის

ათხი მანათი

ეპროსინე იაკობის ასული

### ჭიჭინაძისა

რომელსაც სწავლა შეესრულებია  
სანკტ-პეტერბურგის უმაღლეს საქა-  
ლებო სასწავლებელში, ამ წლის  
პირველის სექტემბრიდამ ხსნის ქა-  
ლაქს ქუთაისში მოსამზადებელს  
სასწავლებელს ორის წლის კურსით,  
რომელიც ამზადებს ქალებს საქალე-  
ბო გიმნაზიის პირველის კლასისა-  
თვის, ვაყვებს სავაქო გიმნაზიის მოსამ-  
ზადებელის კლასის უფროსის განყოფი-  
ლებებისთვის.

სასწავლებელში მიიღებიან ბინი-  
დამ მოსიარულე ყმაწვილები პანსიონ-  
ნი არ იქნება, და სწავლისათვის გა-  
დანდებით სასწავლო წელიწადში ორ-  
მოცდა-ხუთი მანათი (45), რომე-  
ლიც წინ-დაწინ უნდა შემოიტანონ  
მესამედობით. მისაც მსურს ყმაწვილე-  
ბის მიზარება ამ სასწავლებელში, წე-  
რილებით უნდა განუტყაბდოს თავისი  
სურვილი სასწავლებლის დამმარსე-  
ბელს ივლისის 22-დამ აგვისტოს 25-  
მდის.

ადრესი: მუთაისი, გოსპიტლის ქუჩა  
სახლი ნიკოლაძისა. (6-1)

### შინაური ქრონიკა

მანალი ძიარობის ჩადენილმა საქ-  
მეებმა ისე ააღვლეს ხალხის ოცნება,  
რომ ვინ იცის ეხლა რას არა დააპარაკო-  
ბენ მასზედ და რა უცნაურ ხმებს არ  
აერცვლებენ.

აი რას ამბობენ, სხვათა შორის,  
ამ უცნაური კაცის მოლაპარაკებზედ  
ერთს აღმინისტრაციის პირთან. ძიარ-  
ობის კაცს ვაუგზავნა ბორჩალოს  
მავრის უფროსს მ. აფხაზს და შე-  
უთქალა, ესა და ეს ცხენი რომ გყავს  
საჯინიბოში, ამა და ამ ღამეს წაი-  
ყვან და გამოუთხალდო. აფხაზს შეე-  
თვალა თურმე: მეორე ცხენი კიდევ  
მაგზედ უყვთესი მიბია; თუ მის წაი-  
ყვან, ეს მეორე ცხენი ფეშქაშად მო-  
მიტიაო. ამას კი გეტყვი, თუ ბორ-  
ჩალოს სამზღვარში ფეხი შემოგიდგამს,  
მოუცლელი არ დაჩეხებო ამბობენ,  
ძიარობის პასუხად ტყუია გამოუგზავ-  
ნია, ვითომ, თუ შეგიძლიან, ამ ტყუილ  
მომავლებს ეწვიეთ.

ღაბლობი, უწყლო ალაგები  
ხომ სულ მოიდმო გვალვამ, მაგრამ  
არც ზოგიერთ მთიან ალაგებიდამ  
მოდის კი ხმები მოსავალზე. მაგა-  
ლითად ზემო-მართლში პური და ქე-  
რი ძალიან ნაკლებად მოსულა და  
ზვის სიძვირეს ხომ კიდევ უფრო მეტად  
უჩივიან.

ზოგიერთა მტკვარში მობანა-  
ვეები გვწერენ, ერთ ადგილას ვბანა-  
ობდით, მაგრამ სალდათებმა ნება არ  
მოგვცეს ბანაობისა და ლანძღვა-თრე-  
ვით გამოგვრეკესო; ლანძღვა-თრევა,  
რასაც ვირველია, საკადრისი არ არის,  
მაგრამ სალდათებისაგან ძნელი მოსა-  
ლოდნელია ზდილობიანობა, მეტად-  
რე, როცა ისინი ბანებებს ასრულებენ  
და განკარგულება კი არის გამოსუ-  
ლი, რომ ზოგიერთა ადგილებთან  
ხალხმა არ იბანაოს. ჩვენც წერილის  
მომწერთ იმას ვუჩივით, რომ ის ად-  
გილები აირჩიონ ხოლმე საბანოდ,  
სადაც ეს აღკრძალული არ არის, თუ  
არა სურთ შემდეგშია სალდათების  
ლანძღვა-გინება ირგუნონ.

სოფლებშია შემოულიათ კი-  
დაობის გამართვა. მაგ. ღუშეთის მავ-  
რის სოფ. ახატინდამ გვატყობინებენ,  
რომ იქ ყოველ-კვირა იყრებიან სხვა-  
და-სხვა სოფლის გლეხები და კიდაო-  
ბას მართვენ ჯერ-ჯერობით ერთს  
ახალგაზდა ბიჭს დაუმსახურებია მო-  
კიდავის სახელი. ბევრი ფალანგები  
დასკიდებიან, მაგრამ ხელის მოკი-  
დების უმაღლე წაუტყვიან.

ძალღონიაში რომ არხებია გა-  
მოყვანილი, მათი დანიშნულებაა მხო-  
ლოდ ბაღებისა და გზების მოწყვეა;  
მაგრამ, როგორც გვატყობინებენ, ჩვე-  
ნი მეთულ-უხეხები, რასაკვირველია თა-  
ვიანთ ჯიბის სასარგებლოდ, უფრო უე-  
თესად თურმე ხმარობენ მათ. ძიარობის  
ქუჩაზედ ერთი ამ გვარ არხთაგანი  
ბალიდგან გამოსული ჯერ გზას გა-  
დასკრის და შემდეგ მეორე ბაღში  
გადის; ის ადგილი, სადაც წყალი გზას  
გარდგარდმო გადის, დახურული  
არ არის და აქედგან მეთულ-უხე-  
ნი წყალს იღებენ და სასმელა-  
თა ზიდავენ თურმე. ბარდა იმ უწყინ-

დურებისა, რომელიც ბაღებში მო-  
წყვის დროს ამ არხებს ერევა, ეს წყა-  
ლი სხვა-და-სხვა უწყინდურს ადგი-  
ლებსაც თურმე რეცხავს.

მეტი არ იქნებოდა, რომ ეს ადგი-  
ლები დაეთვლიერებინათ, ვისგანაც  
ჯერ არს და საქმე ისე მოეწყობო რო-  
გორმე, რომ ხალხისთვის საშიში უწყ-  
ინდური წყლის სმა მოესპოთ.

ძიარობამ იქამდის მიიზიდა ჩვე-  
ნი საზოგადოების ყურადღება, რომ,  
როგორც ამბობენ, ერთს მწერალს  
განუზრანავს მისი ცხოვრებიდან ღრა-  
მის დაწერა. მისურვებთ მის ღრამის  
მომეტყულები «თვალების ბრალი»,  
«ხანჯლების ტრალი» და განუწყვე-  
ტელი ძახილი: «სისხლი, სისხლი და  
სისხლი» აცდენილი ჰქონდეს. ამ პიე-  
სის ყოველს მოქმედებას. თავთავისი  
სახელი თურმე აქვს და ერთს მათგანს  
ჰქვან «ტყვეობა» და «მეგლისი», სა-  
დაც კონსერვატორიაში აღზრდილი  
ქალია ტყვედ ჩაქრდილი, რომელიც  
დანარჩენი ტყვეების გასართობად სხვა-  
და-სხვა ოპერებიდან ამოკრფილ სა-  
უყვთესო ხმებს იგალობებსო.

ქვირილიდამ გვწერენ: ყველა ქა-  
ლაქებში და სოფლებშია კი ცდილო-  
ბენ სისუფთავის დაცვას, რომ რაიმე  
ჭირმა ფეხი არ მოიკიდოს, ხო-  
ლო ზესტაფონში ეს ფრიად სა-  
ჭირო საგანი სრულიად დაიწყებუ-  
ლია.

აქაური მეღუქნეები, ღუქნის წინ  
ქუჩას, თუ ეზოს ისე ბინძურად ინახავენ  
რომ ძალიან მალე უნდა მოველო-  
დეთ რაიმე სნეულებასა. ერთი-ერთი  
ქუჩა ზესტაფონში და ესეც უსუფ-  
თოდ არის შენახული. რა დიდი  
საქმეა ყველამ თავის წინ ქუჩა თუ  
ეზო გაასუფთაოს ხოლმე და ნაგავი  
მდინარე ქვირილაში ჩაჰპარონ. ღუქ-  
ნების უკანვე ოც ნაბიჯზედ ჩამოდის  
ეს მდინარე.

ჩკინის გზის დებომ ხომ სულ  
გააბინძურა აქაურობა: დებოდან გა-  
მოდის ოთხმოც ნაირი ფერის წვენი;  
ამ წვენს არა აქვს გასავალი გზა, ნა-  
ხევარ ვერსის სიგძეზედ უჭირავს და-  
კობებელი ადგილი და სდვას საზა-  
რელი სუნი. ნუ თუ ჩკინის გზის  
გამგებობას არ შეუძლიან ეს ყოველად  
მავრალბებელი წვენი მილით გაიყვა-  
ნოს მდინარე ქვირილაში და ამით  
ააცილოს მცხოვრებლებს მომავალი  
უბედურება. ღორების წყალობით  
ბევრნაირი სიბინძურე გვედება თავი-  
დამ, თორემ თქვენი მტერი აქამდი-  
ნაც გაჩნდებოდა რაიმე სნეულება;  
მაგრამ დებოს წვენს კი ვერ მოერი-  
ვენ ეს «სანიტარები», რადგანაც  
დიდძალია.


«ორიოდ სიტყვაც აქაურს ზოგი-  
ერთა ჩაუბრუნებდ: ხშირად ნახავთ, რომ  
ჩაურები მისცივიდებიან ვაჭრებთან, ვი-  
საც ცხენები ჰყავთ და ეტყვიან მავ-  
რის უფროსის ბრძანება ეხლავ  
ცხენი გამოიყვანე, უნდა წავეყვა-  
ნოვო». მთუ ვაჭარმა არ გამოუყვანა,  
თითონ ჩაფარი ძალას ხმარობს, შე-  
ლის თავლაში და გამოჰყავს ცხენი,  
თუნდ სხვისაც რომ იყოს. მე არა  
ვგონებ, ეს მავრის უფროსის ბძანება  
იყოს, და თუ მისი ბძანებაა, ური-  
გო არ იქნება ცხენების პატრონებმა  
იკოდენ წესი თვით უფროსისა-  
გან, თორემ ადვილად შესაძლებე-  
ლია, ჩაფრებმა თავიანთ სასიამოვნო-  
თაც ბევრჯერ წაიყვანონ ესენი, მით  
უმეტეს რომ ვაჭრები ძალიან დაში-  
ნებულნი არიან. ჩაფარი რომ ცხენს  
წაიყვანს და მოიყვანს, ის პატრონს  
ორ კვირას აღარ არგებს».

სოფ მუხრანიდამა გვწერენ:  
«აქ სცენის მოყვარეთაგან გაიმართა  
წარმოდგენა ადგილობრივი სკოლის  
ბიბლიოთეკის სასარგებლოდ; ითამა-  
შეს ორ მოქმედებიანი კომედია ცა-  
გარლისა «ბაიყუში». საზოგადოება  
ბლომად დაესწრო ამ კეთილ განზ-  
რახვით გამართულს წარმოდგენას.  
მარდა ადგილობრივი თავდაზნაუ-  
რობისა და გლეხებისა, იყენენ აგრეთ-  
ვე სხვა სოფლებიდანაც... წარმოდ-  
გენამ მხიარულად ჩაიარა. მოთამაშე-  
ებს სენიდიისიანად დაესწავლათ თავ-  
თავიანთი როლები და ხელოვნურა-  
დაც ითამაშეს. წმინდა შემოსავალი  
ხარჯს გარედ დარჩა 13 მანათი. შე-  
ლი ცოტაა, მაგრამ ამ ფულითაც  
ორიოდ სასარგებლო წიგნი შეეძინე-  
ბა ჩვენს სკოლას. ამისათვისაც დიდი  
მადლობა ეკუთვნით ამ საქმის მოთა-  
ვეთ და დამხმარებელთ.

მ. ბიორგი მუხრან-ბატონის ქვირ-  
მა მკატრინემ უსასყიდლოდ დაუთმო  
ამ წარმოდგენისათვის თავისი სახლი  
და თითქმის ყოველ-გვარი საჭირო  
ავეჯეულობა».

მურის ყვავილმა მურის გაავ-  
ლო და ეხლა ჯერ სხვა სენი სწევია: კი-  
დევი არასა გვწერენ იქიდან: «სოფელ  
ნიგოთში (მზურგეთის მავრა) ერთი  
თვეა რაც გაჩნდა ერთ-ნაირი ავად-  
მოყოფობა, ყელის ტკივილი, რომელ-  
საც ხალხმა უწოდა კისერ-ბატონები». ამ  
ნაირი ჭირი ამას წინად იყო სო-  
ფელს აკეთშია; იქაც და აქაც სენ-  
მა ჩამოდენიმე იმსხვერალო. ზამოკე-  
ლვის შემდეგ გამოჩნდა, რომ ეს  
ჭირი ყოფილა «დიფტერიტი». სენის  
მოსასპობებლად სოფელში მავრის დოკ-  
ტორებს და სხვებს, რასაკვირველია,  
არა სცალიათ; თუ მობრძანდენ, და-





ხედეს ავადმყოფს და დაგვარწმუნეს, რომ ავადმყოფობა ეს და ეს სენია, იმასაც საკმაოდ ხადიან მათის მხრით. ნიგოთში ღიფტერიტით ათზე მეტი იყვნენ ავად ბავშვები, თუ ღიფტერიტით. ამ ძნელი და გადამდები სენის მოსპობისათვის ძლიერ მეცადინეობს გამოცდილი ფერწალი პ. სამარკინი, რომელმაც გადაარჩინა სიკვდილისგან ყველანი, რომელნიც-კი აჩვენეს მას.

ღმრთობის სადის (საოჯახო ბადი) თეატრის დასის და თბილისელი ერთი გაზეთის შორის მას წინადატენილი „შაირ-ლეჟსუბათ“ ბრძოლა ივლისის 14-ს დიდის „სკანდალით“ გათავდა სსსეუბული თეატრის დასს ძალიან სწყენია, რომ გაზეთი უძსოდა მთ ცოცხალი მოგროვილებს, საიარმუგო დასს და უწყვდა სოფლის მამდურად ქალებს თეატრისათვის თავი დაქუბუბანთ და სეისუბი ავლათ სეჟმა, ან მკეცხაობა დაქუბათ. უოკედეკი ამისათვის კრთმა აქტიორმა ბ. ბიასმა განიზრახა სამაგიერო გადაქადა გაზეთისათვის და მკეცხაობა „ბიასმა“ თავისგან შეთსხული ლეჟს-შაირსუბი ჩაუქადა, რომელნიც გაზეთის წინააღმდეგ იყენს მიმართულები, რითაც აქტიორება დამტეიცეს, რომ მათც ესკრსებთ ლანძღვა-გინება. ორი-სამი ლეჟს-შაირის სამდერის შემდეგ საზოგადოებაში დიდი აღაქათი ასტყდა; ერთი „ბიას“ ეოსადეს; მეორე-კი „ბიასი გააკდეთა“ და სსე.

ამ აღაქათის დროს ბიასი მისცე კიდეკ მდეროდა თავის შაირებს. გაზეთის ორი თუ სამი მომსრე მივიდეს ორკესტრთან ასლა და უშეკრის სიტყუებით დაუწეს ბიასს ლანძღვა. თუ რომ მოლიცა არ ჩარეოდა სსეჟმა და მეომარნი არ დაემდებინა, უფრო უარესი სსეჟი მოხდებოდა.

ამბიენ რომ ამ უწესოების შესახებ პოლიციას პოლიტიკოლი შეუდგენია და მომდებელი მოსამართლისათვის გადაუცია. („ბიასი“)

ღმრთობის 15-ს ავლანბარში ოქოკის და პოლისიკოკის სასლს ცეცხლა წაქედა. როდესაც ცეცხლი ძალიან გაძლიერებულყო, ოქოკისას სმა - მალდაკვირბი დაქუბა: „ფუფი! ფუფი გამოილეთ ბუხრადამ!“ ერთი სალდათი მისინე შეკრდნილიყო ცეცხლში და რამდენიმე სნას შემდეგ ბლუჟა-ბლუჟა ქადადის ფუფა გამოქანა. ოქოკისა და პოლისიკოკის სასლები დასლკუულნი არ არიან. ცეცხლი სსეჟშიყო სასლსეჟდაც გადავიდა, მაგრამ მალე გაქურეს.

„დროების“ კორესპონდენციები

ბერტუბან-პატარძელი, ივლისის 8-ს. სოფლები ბერტუბანი და პატარძელი ეკუთვნიან თბილისის მაზრას და არიან გაშენებულნი ივრის ხეობაზე. ბერტუბანი შეიცავს 120 კომოსს და პატარძელი 240. ამ რიცხვებიდან 12 კომლი ახნაურია და დანარჩენნი 348 კომლი მხენელ მთესველ სახემყოფო გლეხებს შეადგენენ,

თუმცა 1860 წლამდის ესენი საეკლესიონი იყვნენ.

ბერტუბნელები არიან იგივე პატარძელელები. მხოლოდ სხვა-და-სხვა გარემოებამ იგინი გააცალკევა და გაპყო ორ სოფლად მისნი მცხოვრებნი. პატარძელის დაარსებამდე და შემდეგ მის ორ სოფლად გაყოფამდე ხალხური გარდმოცემა აი რას მოგვითხრობს: მე-XI საუკუნეში, დავით III აღმაშენებლის მეფობის დროს, დასახლდა ეხლანდელ პატარძელის მახლობლად ერთი კომლი კაცი გვარად შუშიტაშვილი (შუშეელი); ის იყო ძლიერ დაბალი და პატარა ტანისა, რისთვისაც მას ხშირად ეძახდნენ „პატარა კაცს“, — „პატარაძეს“; ბოლოს ეს სახელი უწოდეს იმ ალაგს, სადაც შუშიტაშვილი დასახლდა. რამდენსამე წლის შემდეგ შუშიტაშვილის გადმოსახლებისა, გადმოსახლდნენ მასთან ბევრნი სხვანიც, რისთვისაც მათ პატარძელის არე-მარე საცხოვრებლათ არ ეყოთ და იძულებულნი შეიმქნენ გადმოსახლებულიყვნენ ფართო ალაგას. ეს ფართო ადგილი არის ის, სადაც დღეს სცხოვრობენ. იმ ადგილს, სადაც შუშიტაშვილი პირველად დასახლდა ჰქვიან ძველ-პატარძელი, ახლანდელს კი ახალი პატარძელი.

სოფ. ბერტუბნის მცხოვრებნი, როგორც ზევით მოგახსენეთ, არიან იგივე პატარძელელები, მხოლოდ მე XII საუკუნის დასაწყისს, დიმიტრი I-ლის მეფობის დროს, როდესაც თურქები შემოესივნენ საქართველოს ზოგიერთ სოფლებს, პატარძელელებმა ორმა ოჯახმა შეაფარა თავი დავით გარეჯის მონასტრის მახლობლად, სადაც მაშინ ბერები ცხოვრობდნენ. რამდენსამე წლის შემდეგ, როდესაც საქართველო განთავისუფლდა ყოველგვარ მტრებისგან და მმეიდობიანობა ჩამოვარდა, პატარძელიდან დროებით გარდასახლებულნი უკანვე გადმოსახლდნენ პატარძელში. ამ ხელმეორეთ გარდმოსახლებულებს უწოდეს სახელათ „ბერების უბნელები ანუ ბერტუბნელები“; აი სწორედ ამ გვარმა გარემოებამ ერთი სოფელი გაპყო ორ სოფლად: ბერტუბანი და პატარძელი ანუ ბერტუბან-პატარძელი. ბერტუბნელების და პატარძელელების ცხოვრების შორის არაერთარი განსხვავება არ სუფევს. დღეს მათ ჰყავთ ერთი მღვდელი, ერთი საყდარი აქეთ, ერთი ვენახები, სახნავ-სათიბები და ტყე; მხოლოდ საკუთარი მოსამართლენი და მამასახლისები ჰყავთ; ამას გარდა ამ ორი სოფლის მცხოვრებნი ისე არიან ერთი-ერთმანეთს არეულ-დარეულნი და დაკავშირებულნი, რომ ბერტუბნელ კაცს ჰკითხოთ სადაური ხარო, მაშინათვე მოგიგებთ პატარძელელები.

მოსავალი წელს ამ სოფლებში, როგორც სხვაგან, ძლიერ მცირეა. 4000 დლიურიდან წელს სრულებით მოსცდა 2800 დლიური, მხოლოდ 1200 დლიური თუმცა არ მოსცდა სრულებით, მაგრამ კვლივანდებულად,

როგორც იტყვიან, ღვთის თვალი შიგ არ ტრიალებს საბრალო გლეხები სულ იმას ჩივიან, რომ წლევედელი პურის მოსავალი თესლათაც ძლიერ გვეყოფა და რალამ უნდა დაგვარჩინოსო? სად ვიყილათ, რითი ვიყილათ? შბალახობა ცალკე, მოუსავლობა ცალკე, გამორჩობა არ საით არის და რა წყალში უნდა ჩავერდეთო. ამ გვარ ცუდ წელიწადს არ შევსწრებიათო, — ჭაიძახიან ხანში შესული გლეხები. მართლაც, სწორე მოგახსენოთ, ცეცხლის პურის კამა აქეთ ამ საწყლებს. როგორ უნდა იცხოვრონ? ან რომელ ერთს მოვალეს უნდა გაუძღვნენ? ცალკე საქონლის საქმელი, რომელიც ბევრს მუჭაზედ დაურა არ მოუვა, ცალკე. სამეველო, საგზირო, სადალაქო. ზასტავამ ხომ უარესად გაუჭირა საქმე საწყლებს; სწორე მოგახსენოთ ვინცკი ჩვენი დაბალი ხალხის ყოფაცხოვრებას დააკვირდება, მას მაშინათვე ძალა უნებურად შემდეგი სიტყუები მოადგება პირზედ; საბრალო ადამირო, ალბათ ქვის გული გაქვს, რომ ამდენს წვალებას იტანა!

ჩვენი ხალხის მოუსავლობისგან მიყენებულს შეწუხების განქარწყლებას შესძლებს წელს მხოლოდ სამი საგანი, თუ რომ ამათი საქმე იქნება დაყენებული ნამდვილს და ქვემარტის გზაზედ. მსენი არიან: ორი სკოლა, ახალი მოსეს გზა და ახლად ამორჩეული მამასახლისები. როგორათაც პატარძელში, აგრეთვე ბერტუბანში ახალი სკოლების შენებას შარშანვე შეუდგენ. პატარძელში უკვე დაასრულეს, თუმცა იგი აშენდა ძლიერ ცუდ და მიუდგომელ ალაგას, ასე რომ პედაგოგიურ მოთხოვნილებას სრულიად ვერ ასრულებს; რაც შეეხება ბერტუბნის სკოლას — ჯერ არ დაუსრულებიათ; მგონი ვერც დაასრულებენ, რადგანაც ფული არ არის და მგონი არც საქიროა ვერ ჯერობით მისი დასრულება, რადგანაც ეს ორი სოფელი წარმოადგენს ერთ შუათანა სოფელს 360 მოსახლით. ჩვენთვის ძლიერ სასიამოვნო იქნება არამც თუ ორი, ხუთი სკოლაც რომ იყოს პატარძელში, მაგრამ მეშინიან ვაი თუ ორი კურდლის დამჭერლებმა ერთიც ვერ დაეპიროთ. შმჯობესი იქნებოდა, თუ რომ ბერტუბან-პატარძელი ჯერ-ჯერობით ერთს სკოლას იქმარებს და უბრალოდ ლობე-ყარეს არ გამოეღება, რადგანაც ორი სკოლის და მასწავლებლების შენახვა, მეტადრე ამ დროში, ძლიერ ძნელია. მაგრამ საწყალმა გლეხებმა რა ჰქნან? იმათ რა იციან სკოლის საქმე? მათ ვინ ჰკითხავთ? ამ ბოლოს დროს, როგორც შევიტყეთ ერთს მათ მძძანებელს უბძანებია, რომ სკოლებს კი არ ვაშენებთო, ვაშენებთ „სელსკი სუდებსაო“; იქნება აგრეც იყოს მხოლოდ დასასრულს ამას კი მოგახსენებთ რომ ბერტუბან-პატარძელელების სკოლების საქმე ჯერ-ჯერობით დაქსაქსულია.

მშენიერი გზები დაეკეთა წელს; სადაც წინეთ სამ უფლებას დასაკამეხს უჭირდებოდნენ სახლის ტარება, დღეს უფელს თავისუფლად დააკეთ. მვიმა ნახევარ არზინედ აყრია, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ქვიმა დღემდის დაუშენებია; ამის მიზეზი ის არის, რომ ურმე, ალარ დიარება ხშირად. ძალაქს ალარაინ დადს, თუნდ რომ წაიღენ, რა წაიღონ? შეშა? მერე, ნახევარზედ მეტი აღებული ფულიდან ზასტავს ბაქი უნდა გადაიხადონ, ნასყვარი კიდეც ტყის ბაქი, თითონ რალდარჩეთ? ბევრი ურემია, რომ წელს მინდორში არ გაუელია, ან რა უნდა მოიტანოს იქიდან? არაფერი: ძნა არ არის და თივა.

რამოდენადაც წელს ავლანის საქმეები საინტერესო და სალაპარაკო საგანს შეადგენს განათლებულს დასში, თითქმის იმოდენად ჩვენში ახალი მამასახლისების ამორჩევის საქმე გახდა საინტერესო და სალაპარაკო; არამც თუ მართა ჩვენში, თითქმის ყველგან, სოფლის მოხელეების გამოცელა და სხვების ახლად ამორჩევა მართლაც რომ საკურადღებოა გლეხებისთვის, რადგანაც ისინი ზოგჯერ ისეთს კაცს ამორჩევენ ხოლმე მოხელეთ, რომ ისეც სილარბისგან ტყავ გამძერალ გლეხებს უარესად ამრობენ ტყავს და ხშირად უსამართლოდ მოქმედობენ, რომლის შედეგიც არის ის, რომ მართალი მტყუნდება და მტყუანი მართლდება. იქნება ბევრმა კიდეც მკითხოს, როგორ შეიძლება მართალი კაცი გამტყუნდესო, — ძლიერ ადვილად, მოხელეებს არ გაუჭირდებათ, მაგრამ ან მოხელეებმა რა ჰქნან? „ქაშნიკის“ ბრალია! ძარგს, „ქაშნიკს“ ჩამოასხამ, კარგს სამართალს მიიღებ, ესე იგი მტყუანიც რომ იყო, ფიქრი ნუ გაქვს, გამართლდები; არ ჩამოასხამ და, რაც გინდა მართალი იყო სამართალი ახლოს არ მოგეკება, რადგანაც კარგი ქაშნიკი სულელ კაცთან ბრძენია, ქვიანთან წამოჩქარდება. აი ამ გვარი მოხელეები ბრძანდებიან ხოლმე ზოგიერთ სოფლებში.

ჩვენში კი წელს ჩვენდა საუბეგოდ და საბედნიეროთ სვინილისიანი და პატოხანი გლეხები იქმნენ ამორჩეულნი მომავალ მამასახლისებად; ესენი დიდს იმედს იძლევიან, რომ იქნებიან მთარველად თავიანთ ასპარეზისა და აგრეთვე გვირდებიან, „ქაშნიკის“ მოსპობას, როგორც საზოგადო სენსას ღმერთმა ჰქნას რომ ეს დაპირებანი მართლნი გამოდგენენ და მიბაძონ პატოხანურ და მამაშვილურ მოქმედებაში სოფ. მელის-ციხელ მამასახლისს, რომელიც, როგორც გვემის, არის იდეალი მამასახლისებისა. აგრეთვე ღმერთმა ჰქნას, რომ ეს ახლად ამორჩეულნი მამასახლისნი გახდენ გზა მჩვენებელ ვარსკლავად თავიანთ მომავალ საზოგადოებისა და შეისპინონ და ახსოვდეთ განსვენებულნი პოეტის ნ. ბარათაშვილის სიტყუები: „არც



კაცი ვარგა თუ ცოცხალი მკვდარსა ემზ-  
გავსოს, იყოს სოფელში და სოფელს  
კი არა რა არგოსა.

ნიკო ლ—ქ.

იკლისის 8-ს.

1885 წ.

ბათუმი ივნისის 14-ს. რადგანაც  
ბათუმის ნავთ-სადგური მთლად ნავ-  
თით არის მოდებული, ამიტომ ამ  
ზაფხულს აქ აღარ ბანაობენ. მრთად  
ერთი საბანაო ადგილი არის ჩრდი-  
ლოეთის მხრით ბათუმიდგან ზღვის  
ნაპირები. მაგრამ საუბედუროდ აქაც  
ღარიბი ხალხისთვის მოსაზობილია არამც  
თუ ბანაობა, სიარულიც კი მილაც  
ძალმანხელიძეს ამ ნაპირზე ერთ ალა-  
გას გაუმართავს საზაფხულო საბანე-  
ბელი; მოჰყოლია, ბატონო, ამ საბა-  
ნებლის გარშემო რაც ზღვის ნაპირია,  
მთლად ამას დაუსაკუთრებია; გაუშ-  
ლია ყველგან პატარა წითელი დრო-  
შები, დაუენებია დარაჯები და უფა-  
სოდ ამ ადგილზე ფებს არაღის აკარე-  
ბინებს. რა უფლებით იქცევა ბ. ძალ-  
მანხელიძე, ძელი ასახსნელია, მით  
უფრო, რომ ზღვის ნაპირი 15 საფე-  
ნის მანძილზე საზოგადო კუთვნილე-  
ბას შეადგენს, რომლითაც ყველას  
შეუძლიან სარგებლობა. ამ გვარი  
უფლებათა არე-დარევა, როგორც ბა-  
თუმში, სხვაგან მგონი არსად იყოს.  
რამდენ ერთს ბატონს გაუძლოს კაც-  
მა, რამდენ თავხედობას და წრეს-გა-  
დასულობას უნდა უყუროს გულ-ხელ  
დაკრეფილი ადამიანმა! აქ ძალმანხე-  
ლიძე, იქ პარკოვი, აქ «დებუტატე-  
ბი» პივაზა, ბეურქაო, რომელთა  
თავ-გასულობას საზღვარი არა აქვს.  
«შამილობა» თქვენმა მზემ ჩვენში!

ბათუმის «თემიდის ტაძარში» ჩემი  
მტერი და დუშმანი შევიდეს. ახალი  
მართლ-მსაჯულების თავი წარმოგვიდ-  
გენს ძველებური ტიპის სასწავლებელ-  
თა ინსპექტორს, რომელიც სულ ყვი-  
რის და «ტიმეს» იძახის. ბათუმის  
«კლიაუნებს» კი შეჭურის ამ გვა-  
რი «ინსპექტორი» ღვთის წინაშე.  
ამას რომ ისიც მიუმატოთ, რომ  
ახალმა «თემიდის ტაძრის» თავმა  
დააწესა, სიტყვიერ ცნობების მისაღე-  
ბათ ყველამ უნდა ორი შაური წარა-  
დგინოს, მაშინ ადვილი წარმოსადგე-  
ნია, რომ სამსჯავროში ისე ადვილად  
ველარაინ შებძანდება, როგორც წი-  
ნედ იყო. სამწერლოს მოხელეები ხომ  
ისე დაფთხნენ, რომ აღარ იციან, სა-  
ით გაიპარნენ. სამი მოხელე ქართვე-  
ლი კიდევ გაისტუმრეს ბარგი-ბარხა-  
ნით. ახლა მდივანზე მიდგა საქმე,  
რომელსაც სიგძე სამი მტკაველი და-  
აკლდა...

სხვათაგანაც გაითქვა სახელი ბათუ-  
მის სამსჯავროს მოსამართლემ. ბა-  
თუმში რომ მობძანდა, რასაკვირვე-  
ლია, სახლი უნდა ექირავებინა. ბე-  
რი სიარული არ დასჭირდა. შეიხედა  
ერთს სადგურში, ნახა, რომ ცარიე-  
ლია. მაშინათვე შეაზიდინა ამ ვი-  
თომც უპატრონო სახლში თვისი ბარ-  
გი, გადვიდა და მოიკალათა. მს სახ-

ლი დაქირავებული ჰქონდა ნ. ხუდა-  
დაშვილს; პირობა და ფულის ანგა-  
რიშიც გასწორებული ჰქონდა სახლის  
პატრონთან, მხოლოდ გადასვლა-ლა  
იყო საქრო. მივა ბატონი ხუდადა-  
შვილი თავის დაქირავებულ სადგურ-  
ში, ნახავს, რომ სხვას შეუტანია ბარ-  
გი და დამდგარა—აქეთ ეცემა, იქით,  
მაგრამ მოუწვეველი სტუმარი ვეღარ  
გამოიყვანა სახლიდგან. მსეც თქვენი  
კანონი და მოსამართლე! ამ საქმის  
თაობაზე საჩივარი დაიწყო; სიმართ-  
ლე იურიდიულიც და ზნეობრივიც  
ხუდადაშვილისკენაა—ენახოთ რა გვარ  
ვერდიქტს წარმოსთქვამს სასამართლო  
ამ შესანიშნ კომედიაზე!

ბათუმში ორი პ—ციის მოხელე  
არიან, რომელთაც ჯერაც არ გაუ-  
გიათ, რომ რუსეთის მმართველობა  
ყველა სარწმუნოებას თავაზიანად ეყ-  
რობა. ამათ არ იციან, რომ რუსეთ-  
ში როგორც მართლ-მადიდებელს, ისე  
მაჰმადიანსაც თავისუფლად შეუძლიან  
ილოცოს და აასრულოს ყოველი-გვა-  
რი წესი ღვთის-მსახურებისა. ბათუმის  
მეჩითებში, როცა მაჰმადიანები ლო-  
ცულობენ, შედიან ვილაც თავზე და  
ნამუსზე ხელ-აღებული პირები და უზ-  
დელად იქცევიან, ყვირიან, იცინიან.  
როცა კეთილ-მორწმუნე მოსლემინი,  
შეშფოთებული ამ გვარის უსინიღისო  
ქცევით, მიმართავს საზოგადობრივი  
მუდროების დარაჯს, იგი ამ გულ-  
საკლავს სიტყვებს გადგონებს ხოლმე  
მოხელეებისაგან: «ტრაპიზონში წა-  
დით და იქ ილოცეთ!» მითს ამ მო-  
ხელეთაგანს ადგილობრივმა მაჰმადიან  
ქართველებმა «დელი მაიორი» დაარ-  
ქვეს...

### რუსეთი

რკინის-გზაზედ რომ უბედურობა  
მოხდება ხოლმე, მიზეზად ძვირად  
ასახელებენ თვით გზის უხეირობას,  
ტრავერსების სიღამლეს, რელსების  
სიძველეს და სხვ. ჩვეულებრივ მიზე-  
ზად უბედური შემთხვევა აღმოჩნდება  
ხოლმე. მხლა ერთი პირი აცხადებს  
გაზეთს «ნედელიაში», რომ ესე საქ-  
მის მოწყობა თვით გზის უფროსების  
მეოხებით მოხდება ხოლმეო. მათ  
ყოველთვის მზადა აქეთ განგებ გა-  
დამტყრეული ახალი რელსები, ან  
ტრავერსები, რომელთაც მაშინვე წა-  
იღებენ ხოლმე იქ, სადაც ამბავი მოხ-  
და რამ და დაჰყრიან, ვითომ იმის  
დასამტკიცებლად, რომ მათი დაუდევ-  
რობა და სიხარბე არ იყო უბედუ-  
რობის მიზეზიო. ატვარი მოიწვევს  
იმ პირთ, რომელნიც რაიმე რკინის-  
გზის უბედურობაზედ ესწრებიან, მა-  
შინვე შეუდგენ გზის გასინჯვას და  
პროტოკოლის შედგენას, ვიდრე გა-  
ემბაკებული უფროსები მოვიდოდნენ  
და განგებ გადამტყრეულ ახალ რელ-  
სებს დაჰყრიდნ ძველების მაგივრად.

ბუხარდამ და შუა-აზიიდან მრავა-  
ლი ბაზა წამოსულა წელს რუსეთი-  
საკენ. ზოგიერთების აღრიცხვით ეს

ბაზა 80,000—100,000 ფუთამდე  
აღის.

წელს ძალიან ბევრს გამოუცხადე-  
ბია სურვილი პეტერბურგის საქმი-  
აკადემიაში შესვლისა, ასე რომ, ალა-  
გის უქონლობის გამო, უნდათ უპი-  
რატესობა პეტერბურგისა და პეტერ-  
ბურგის გუბერნიის გიმნაზიელებს მი-  
ანიკონ.

«პეტერბურგის უწყებებს» მოსე-  
ლია ამბავი, ვითომ სულთანის აბ-  
დულ-ჰამიდი ძალიან ავად იყოს და  
მისს მემკვიდრეზედ ჰუიქობდნენ კი-  
დეც. ამ ამბავს ლონდონის გაზეთები  
სრულიად უსაფუძვლოდ სცნობენ.

გებსომებათ, თუ რა აღლევება გა-  
მოიწვია ბალუსტოვის 4 წლის ქალის  
სიკვდილმა. ბევრი ამბობდნენ, ამის-  
თანა თავის-დღეში არა გაგვიგონია-  
რაო. სამწუხაროდ, ესეთი საზარელი  
ავსულობა ისე იშვიათი არ არის,  
როგორც ზოგნი ჰუიქობდნენ:

იენისის 1-ს, შუბანის მაზრაში, სოფ-  
ნოვომინსკში, ერთი 35 წლის სალ-  
დათი დებრუნებულა სახლში პატარა  
გადაკრული და დაუნახავს ეზოში  
მეზობლის ორი ქალი: ერთი ექვსის  
წლისა, მეორე ორ-წლი-ნახევრისა.  
ჯერ უფროსი გაუხშია სარაიაში და  
რომ არ დათანხმებულა, დაუვლია  
ხელი მეორესთვის და სარაიაში შეუ-  
ყვანია. ღას დედისათვის შეუტყობი-  
ნებია, რომელიც მოჰკრილა და მთლად  
სისხლში მოსვრილი გაუპატოვრებუ-  
ლი ბავშვი ხელიდამ გამოუგლეჯია.  
ბავშვი, თუმცა სიკვდილს იყო მილ-  
წეული, მაგრამ ეხლა უკეთობა ეტ-  
ყობა.

### უკახეთი

პელანის ემირს გამოუცია პროკ-  
ლამაცია, რომლითაც თავის ქვეშე-  
ვროდმს ხალხს ატყობინებს მიღებას  
ინდოეთის მთავრობისაგან ინდოეთის  
ვარსკვლავის ორდენისას და იმედს  
აცხადებს, რომ თუ ვინცოდაა ჩემს  
ქვეყანას დახმარება დასჭირდა, ინდო-  
ეთიდან მაშველ ჯარს არ დამიჭერე-  
ნო. მმირს უბძანებია აგრეთვე რომ  
მისგან ორდენის მიღება ქალაქის გა-  
ჩირადნებით და ზარბაზნის 101-ჯერ  
გასროლით იდღესასწაულონ.

ზულფიგარის შესახებ ატეხილს  
დავაზედ «ქელნის გაზეთი» ამბობს:  
პელანის საქმეს მრავალი მოულოდ-  
ნელი ამბავი მოსდევს. როდენ-  
საც შინაური და გარეშე ისტო-  
რია სხვა-და-სხვა ხალხთა ზაფხულის  
ღრმა ძილშია, როდესაც გაზეთებს სა-  
ფანელი აკლდებათ, ამ დროს შუა  
აზიიდან რალაც ქარიშხალი მოდის,  
რომელიც ბირჯას შიშის ზარსა სცემს  
და ამბების მძებნელთათვის დაუშრე-  
ტელ წყაროდ იქცევა. რამდენიმე კვი-  
რის წინადვე ხმები ისმოდა, რომ  
შუა-აზიაში რალაც ამბებია, რომ რუ-

სეთის ჯარი ერთ ალავას გოვადება  
და ჰერათელები ყახსხენს დენეცერს  
უპირობენო. იმავე ცრულ მორჩილ-  
ება რუსეთისა და ინგლისის შორის  
ერთსა-და-იმადე მდგომარეობაში იყო.  
რუსეთისათვის ყველაზედ სასარგებლო  
ის არის, რომ საქმე რაც შეიძლება  
დიდხანს გაუთავებელი დარჩეს, არ  
მიიღოს არავითარი პასუხის-გება და  
დამშვიდებით ელოდეს მარჯვე შემთ-  
ხვევას უკანასკნელად თავ-დასხმისათ-  
ვის. არ ვიცი, ამას ვერ მიხვდა ინ-  
გლისის დიპლომატია, თუ სხვა მიზე-  
ზია რამ,—მაგრამ მაინც იმდენი ვერა  
ჰქნა, რომ საქმე მალე გადაწყვიტა.  
ლპარაკი ზულფიგარის გამო ჩამო-  
ვარდა. პარაპამიზის ჩრდილოეთით,  
ქუშკასა და ჰერიოუდის შუა აღმო-  
სავლეთიდან დასავლეთისკენ მიდის  
მთა-გრებილი, რომელშიაც რამდენიმე  
ხეობაა. სხვებზედ უფრო დასავლეთით  
მდებარე ხეობა, ჰერი-რუდის გასწვრივ,  
არის ხეობა ზულფიგარისა. რუსეთი  
თანხმდება ზულფიგარის ხეობა ავ-  
ღანს დაუთმოს, მაგრამ ჩრდილოეთის  
ნაწილი კი სურს თითონ ირგუნოს,  
რადგან ეს ნაწილი რუსეთის სამფლო-  
ბელოშია შეწყეული და მისგან სამივე  
მხრით გარშემორტყმული. თუ რუ-  
სეთი ერთ-ერთს ამ ხეობათაგანს თი-  
თონ დაინარჩუნებს, მაშინ ზულფიგა-  
რი დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას.  
მს უკანასკნელი ხეობა, თუნდა პელ-  
ანის ხელში იყოს, მაინც რუსებისათვის  
საშიში არ იქნება, რადგან ქვიშიანი  
მთებით არის გარშემორტყმული.  
როგორც ეტყობა, რუსეთსა სურს  
სადავო ადგილი პირ-და-პირ დაიკი-  
როს; რუსის ჯარები, რომელთ ხელ-  
ში ერთხელ იყო კიდევ ზულფიგარი,  
ეხლა კიდევ მიდიან მისკენ და რო-  
გორც ლემსდენმა უკან დაიწვია პენ-  
ჯდედამ, ისე ეხლა რიჯვეი დაიწვეს  
უკან ზულფიგარიდამ. ინგლისელები,  
სჩანს, ჰერათისათვისაც შიშობდნენ,  
რომ კაპიტნები იუეტი და პიკოკი ამ  
ქალაქისკენ გადმოსულან თავიანთ  
გრილი სადგურებიდამ. მახულიდამ  
ოთხი პელანის ქვეითი პოლკი კიდევ  
მოვიდნენ ჰერათში და ოთხნი კიდევ  
სხვანი მოემურებიან. თუ მტერი  
ენკენისთვეში ჰერათს მიადგა, იქ ნა-  
ხავს 15 და 20000 ჯარს, კი თოფებით  
შეიარალებულს და მის მისაღებად  
მომზადებულს ზარბაზნებს.

ლონდონელი კორესპონდენტი გა-  
ზეთისა «Indépendance Belge» იწე-  
რება რომ ვითომც ლორდ სალის-  
ბიურის მოეთხოვოს პასუხი პეტერ-  
ბურგის კაბინეთისაგან შესახებ რუსის  
ჯარის წინ-წაწევისა ზულფიგარისა-  
კენ. «Times»-ი ამტკიცებს, რომ  
ინგლისის კაბინეთმა უფრო სამძიმო  
ცნობები მიიღო პელანისტანიდამ,  
ვიდრე ლორდ ჩერჩილისაგან საზო-  
გადოებათა პალატაში გამოცხადებუ-  
ლიო. მოწინააღმდეგის ჯარის რიც-  
ხვი ზულფიგართან ვითომ 3000-მდე  
ადიოდეს; თუმცა ჰერათი გამაგრე-  
ბულია, მაგრამ ეს ციხე მაინც შიშ  
ქვემ არის. ამ ჯარების გადაყვან-  
გადმოყვანის გამო, ჰერათელებს უთ-



